ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 2/13
(კონსოლიდირებული ტენდერი CON190000403)

თბილისი 11 ოქტომბერი 2019
წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „ქალაქ თბილისის #215 საჯარო სკოლა** შემდგომში – „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი **დირექტორის ,მოვალეობის შემსრულებლის მაია ფალიანის** სახით და, მეორე მხრივ, **შპს ,,პენსან ჯორჯია",** შემდგომში – „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი **დირექტორის, გიგა გობიანიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2019 წელს A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის №2306 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორს-მაჟორი" - ,,მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა" და/ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV – 30197630) (შემდგომში - საბეჭდი ქაღალდი), რომელიც აკმაყოფილებს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის საორიენტაციო რაოდენობა არის 50 (ორმოცდაათი). შეკვრა.

2.3 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 470 (ოთხას სამოცდაათი) ლარი.

3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 9,40 ლარს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს წარმოადგენენ **დირექტორის ,მოვალეობის შემსრულებლი მაია ფალიანი**

4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულებით მოთხოვნილი საქონლის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

გ) მისი გამარჯვებულად გამოვლენიდან, შემსყიდველი ორგანიზაციების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, დაიწყოს მათთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები და ქაღალდის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, რომ მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

5.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და ხარისხის ინსპექტირება. ინსპექტირებას განახორციელებს **დირექტორის ,მოვალეობის შემსრულებლი მაია ფალიანი**

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით.

6.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბეჭდი ქაღალდის მიწოდების ვადა სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას შესაძლებელია აღემატებოდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 ნოემბრის _ ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი"

სსიპ ,, ქ.თბილისის #215 საჯარო სკოლა "
ქ.თბილისი ვარკეთილის დასახლება
ს/კ: 226563368
ტ: 2-73-85-51;577-336-550
ელ-ფოსტა:tbilisi215@mes.gov.ge
ბანკი ლიბერთი ბანკი
ხაზინის კოდი:
ა/ა: GE48 LB0115110221311000

დირექტორის მ. შ. მაია ფალიანი

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE35VT6500000055555555
ს/კ N404870760
ს/ტ ნომერი: 032 2355 844
მობ : 593 450 200
558 42 33 22
ელ.ფოსტა : pensan.georgia@gmail.com
გიგა გობიანიძე
დირექტორი

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ქაღალდი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. გრამაჟი (გრ/მ^2) – 77– 82;

2 სისქე (um) - 104 – 110;

3. სითეთრე (CIE) - არანაკლებ 148;

4. გაუმჭვირვალობა – მინიმუმ 94%;

5. სიკაშკაშე – არანაკლებ 98% ;

6. ზედაპირის ხაოიანობა ml/min ორივე მხრიდან - არაუმეტეს 150;

7. ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა;

8. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე;

9. ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ხის მერქნისგან;

10. ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის მიერ გაცემული ლიცენზია/ სერტიფიკატი;

11. არანაკლებ 500 ფურცლიანი შეკვრა;

12. ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის.

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 17 ოქტომბერი 2019წ.

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერებმა ერთის მხრივ სსიპ ქ. თბილისის #215 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. მაია ფალიანმა და მეორეს მხრივ შპს „პენსან ჯორჯია"-ას დირექტორმა გიგა გობიანიძემ შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ N2/13 ხელშეკრულებიის საფუძველზე შპს „პენსან ჯორჯია"-ას დირექტორმა გიგა გობიანიძემ გადასცა ორმოცდაათი შეკვრა ქსეროქსის ქაღალდი; ხოლო საჯარო სკოლის ტექნიკურმა მენეჯერმა ირაკლი ტატიშვილმა ჩაიბარა საქონელი; სასაქონლო ზედნადები(№0485136966), რომლის ღირებულება შეადგენს **470(ოთხას სამოცდაათი) 00 ლარს..**

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ჩვენს მიერ ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა.

მიმწოდებელი

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE35VT6500000055555555
ს/კ N404870760
ს/ტ ნომერი: 032 2355 844
მობ : 593 450 200
558 42 33 22
ელ.ფოსტა : pensan.georgia@gmail.com
გიგა გობიანიძე
დირექტორი

შემსყიდველი

თბილისის #215 საჯარო სკოლა

ს/კ — 226563368

მომსახურე ბანკ: ლიბერთი ბანკი

ა.ნ. GE48LB0115110221411000

სკ.დირექტორის მ. შ.: **/მ.ფალიანი/**

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0485136966

2	17/10/2019

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:58:02

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს პენსან ჯორჯია	404870760
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ თბილისის N215 საჯარო სკოლა	226563368
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი თამარ მეფის 18

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი ვარკეთილის დასახლება

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	ELT555

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	01013028874 დავით ყაველაშვილი

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	საბეჭდი ქაღალდი (საოფისე)a4 80 გრ. (500 ფ.)Ballet Briliant CL A4. A+ ბრილ-500	05683	შეკვრა	50.0000	9.4000	470.0000

13	470.0000 - ოთხას სამოცდაათი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 17/10/2019, 12:58:28